სს კავკასრეესტრი

ფინანსური ანგარიში

2011

წელი

ს.ს. "კავკასრეესტრი"
ბალანსი

		ლარი	ლარი
აქტივები	*შენიშვნა*	**31.12.2010**	**31.12.2011**
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
ფულადი სახსრები	*3*	156 244	54 769
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	*4*	120 417	30 856
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	*4*	3 861	11 928
სულ მიმდინარე აქტივები		**280 521**	**97 553**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	*5*	9 698	8 807
არამატერიალური აქტივები	*6*	4 509	3 832
გრძელვადიანი ინვესტიციები	*7*	449 502	635 067
სულ გრძელვადიანი აქტივები		**463 709**	**647 706**
სულ აქტივები		**744 230**	**745 259**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდება და მომსახ. ვალდებულებები	*8*	197	432
მიღებული ავანსები	*9*	366	375
საგადასახადო ვალდებულებები		4	4
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**567**	**811**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	*10*	5914	5914
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	*10*	78962	58 831
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**84 876**	**64 745**
საკუთარი კაპიტალი			
ჩვეულებრივი სახელობითი აქციები		15000	15000
წინა წლების აკუმულირებული მოგება/ზარალი		521 847	643 788
საანგარიშო პერიოდის მოგება/დაუფარავი ზარალი		121 941	20 915
სულ საკუთარი კაპიტალი		**658 788**	**679 703**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**744 231**	**745 259**

სს " კავკასრეესტრი"

მოგება /ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	ლარი 2010	ლარი 2011
საოპერაციო შემოსავლები:			
აქციების გადაცემის საკომისიო		62 188	83 304
ემიტანტთა სააბონენტო გადასახადი		48 838	41 242
რეესტრის სხვა მომსახურეობა		10 524	26 612
გარიგების დაფიქსირების საკომისიო		40 815	1 623
ვალდებულებების მომსახურეობა		553	201
სულ:		**162 918**	**152 983**
საოპერაციო ხარჯები:			
სახელფასო ხარჯები		60 450	59 570
ცვეთა და ამორტიზაცია		3 183	2 793
ოფისის იჯარა		13 200	13 200
აუდიტორული მომსახურების ხარჯები		650	650
საკონსულტაციო ხარჯები			4 784
უიმედო ვალების ჩამოწერის ხარჯები	12		78 831
საგადასახადო ხარჯები		182	134
გარიგების დაფიქსირების ხარჯები		40 717	2 976
სხვა საერთო ხარჯები	11	3113	2 596
სულ:		**121 494**	**165 534**
ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**41 423**	**(12 551)**
არასაოპერაციო შემოსავლები:			
მიღებული დივიდენდები			155
საპროცენტო შემოსავალი		80 158	82 411
სხვა და სხვა შემოსავალი			131
საკურსო გადაფასების შემოსავალი		41460	7 207
სულ:		**121 618**	**89 904**
არასაოპერაციო ხარჯები:			
საკურსო სხვაობის ხარჯები		18 533	43 922
საპროცენტო შემოსავალზე დაკავებული გადასახადი		2 592	2 463
წარმომადგენლობითი ხარჯები		641	293
სხვა და სხვა ხარჯები	13	22	5 497
სულ:		**21 788**	**52 174**
არაძირითადი საქმიანობიდან მიღებული შედეგი		**99 830**	**37 730**
საანგარიშო პერიოდისსაღრიცხვო მოგება/ზარალი		**141 253**	**25 179**
მოგების გადასახადი		**19 313**	4 264
წმინდა მოგება		**121 941**	**20 915**

სს "კავკასრეესტრი"

ფულადი სახრების ანგარიშგება

არაპირდაპირი მეთოდი	ლარი 2010	ლარი 2011
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
საანგარიშო წლის წმინდა მოგება/ზარალი	121 941	20 915
ცვეთა და ამორტიზაცია	3 183	2 793
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(7 531)	81 494
მოწ. და მომს. წარმ. ვალდებულებები	(7 598)	(19 887)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**109 994**	**85 315**
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(252)	(1 226)
გრძელვადიანი ინვესტიციები	(97 560)	(185 564)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(97 812)**	**(186 790)**
ფულადი სახსრების ცვლილება	**12 183**	**(101 475)**
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	**144 061**	**156 244**
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	**156 244**	**54 769**

სს "კავკასრეესტრი"

ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებების შესახებ

ლარებში

	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი შესაბამისი პერიოდის მოგება/ზარალის ჩათვლით	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2008	**15 000**	**376 836**	**391 836**
საანგარიშო პერიოდის მოგება		145 011	**145 011**
31.12.2009	**15 000**	**521 847**	**536 847**
საანგარიშო პერიოდის მოგება		121 941	**121 941**
31.12.2010	**15 000**	**643 788**	**658 788**
საანგარიშო პერიოდის მოგება		20 915	**20 915**
31.12.2011	**15 000**	**664 703**	**679 703**

mgi
BUSINESS SOLUTIONS
WORLDWIDE

დ. გამრეკელის ქ. №19
მე-5 სართული, ოფისი 503
0160 თბილისი
საქართველო
ტელ.: +995 32 330 906
+995 32 378 909
ფაქსი: +995 32 385 181
www.mgi.com.ge
e-mail: info@mgi.com.ge

№ 12 08 ივნისი 2012 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი"-ს პარტნიორებს და დირექტორატს:

ჩვენ ჩავატარეთ სს „კავკასრეესტრი"-ს (შემდგომში - „საზოგადოება") თანდართული (კორექტირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ მოგებისა და ზარალის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

<u>ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა</u>

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემული გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასების გაკეთებას.

<u>აუდიტორის პასუხისმგებლობა</u>

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს, აუდიტის იმგვარად დაგეგმასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

შპს "ემჯიაი ჯორჯია" არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული MGI Worldwide-ის წევრს.

აუდიტი ითვალისწინებს გარკვეული პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტოებების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის , რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ, აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

<u>მოსაზრება</u>

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი (კორექტირებული) ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „კავკასრეესტრი"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გიორგი ხმალაძე

დირექტორი